<u>პროექტი</u>

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/06/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016003) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-11 მუხლის მე-4-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს 143 მოსამართლით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 61 მოსამართლით;

ბ) სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში - 49 მოსამართლით;

გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 33 მოსამართლით.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

პროექტის მიღების მიზეზი

თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოველწლიურად იზრდება შემოსულ საქმეთა რაოდენობა. კერძოდ, 2010 წელს შემოსულ იქნა 38278 საქმე, 2015 წელს - 53399 საქმე, 2019 წელს - 64 863 საქმე. საქმეთა ნაკადის ზრდის ფონზე ყოველწლიურად იზრდება განსახილველ საქმეთა ნაშთიც. 2020 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში ნაშთად დარჩენილ საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 30107 საქმეს, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 6351 საქმეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში მხოლოდ არსებითად განსახილველ საქმეთა რაოდენობა შეადგენდა 1862 საქმეს. აღსანიშნავია, რომ დიდია 72 საათზე ნაკლებ დროში განსახილველ საქმეთა/შუამდგომლობათა რაოდენობა, რის გამოც შეუძლებელი ხდება კანონით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვა, რაც იწვევს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებას.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 126 ერთეულით, აქედან, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 51 ერთეულით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 32 ერთეულით, სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - 43 ერთეულით. მოსამართლეთა აღნიშნული რაოდენობა არასაკმარისია წარმოებაში არსებულ საქმეთა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განსახილველად. მოსამართლეთა რაოდენობის ზრდის საჭიროებას ადასტურებს ასევე 2018 წლის 8 აგვისტოს კვლევაც, რომელიც ჩატარდა პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG)-ის ფარგლებში (პროექტს ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) და აფინანსებს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). კვლევის თანახმად მოსამართლეთა ამჟამინდელი რაოდენობა არსებული საქმეების გათვალისწინებით დაბალია. კვლევის შედეგებით საერთო სასამართლოების გადატვირთულობის პრობლემის აღმოსაფხვრელად საქართველოს სჭირდება 100 მოსამართლის დამატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის 10 საშტატო ერთეულის, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის 1 საშტატო ერთეულის და სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისათვის 6 საშტატო ერთეულის დამატებას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება

პროექტის მიღება არ გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას. მოსამართლის 17 საშტატო ერთეულისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება განხორციელდება 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.